კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №5072242

განაცხადი №AR1768479

თარიღი : 18.08.2020

განმცხადებელი: გოჩა ხოჯელანი პ/ნ: 01006014753

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 16;

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 27.08.2020

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N16-ში (მეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

თბილისის ფილიალი#2
ბიზნეს კლიენტთა განყოფილება

ქ.თბილისის მერიას

ავტორი : თეონა ფოფხაძე

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 2620)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : t.popkhadze@procreditbank.ge

თარიღი : 31.12.2020

თემა: უძრავი ქონების დემონტაჟისს შესახებ

გაცნობებთ, რომ სს „პროკრედიტ ბანკი“, როგორც იპოთეკარი თანახმაა , განხორციელდეს ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის უფლებით დატვირთული უძრავი ქონების (მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამს #16 შენობა #2 (82.98 კვ მ) ს.კ01.17.01.108.012) დემონტაჟი.

თანხმობა გაიცემა იმ პირობით, რომ დემონტაჟის შემდგომ იპოთეკის უფლება გავრცელდება აღნიშნულ მისამართზე მდებარე მესაკუთრის სახელზე რეგისტრირებულ ფართობზე, მიუხედავად იმისა რის საფუძველზეც არ უნდა იყოს იგი სახეშეცვლილი.

.

ს.ს “პროკრედიტ ბანკი”

ს.ს “პროკრედიტ ბანკი”

თეონა ფოფხაძე
მცირე ბიზნეს მრჩეველი

გრიგოლ კაციტაძე
ფილიალის მმართველი

1814373

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990124171463921

№10/1671

19 / მაისი / 2021 წ.

შპს - "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"-ს რექტორის თანაშემწეს
ქალბატონ მანანა კალანდაძეს
ელ.ფოსტა:mail@ssu.edu.ge

ქალბატონო მანანა,

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 13.05.2021 წლის N372/2 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N16-ში მდებარე საქ. ტექ. უნივერსიტეტს, საავიაციო ინსტიტუტს (ს/კ 01.17.01.108.012) (ბრძანებაში იდენტიფიცირებული - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N14-თან) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (იხ. დანართი).

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულში შემავალი შენობა № 2/1 წარმოადგენს ძეგლის ტერიტორიაზე მდებარე არაღირებულ ნაგებობას, რომელზეც ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი და შეზღუდვები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №2-ის ამონაწერი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო ბარათი № 010501408



1. სახელწოდება - საქ. ტექ. უნივერსიტეტი საავიაციო ინსტიტუტი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 14
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული



თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-29435-21
27 / 04 2021

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
წარმომადგენელს ბატონ შოთა ბადალაშვილს
Mail: MAIL.@SSU.EDU.GE

ბატონო შოთა,

თქვენი მიმდინარე წლის 15 აპრილის №02-01-29435-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.01.108.012) დაგეგმილი დამხმარე ნაგებობის დემონტაჟისა და ახლის აშენების შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებას და მილსადენების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი მიწისზედა D=80 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი, ხოლო წითელი ხაზების სიახლოვეს მოქმედი მიწისქვეშა D=80 მმ-იანი; მოქმედი მიწისზედა D=20 მმ-იანი და D=50 მმ-იანი დაბალი წნევის მილსადენები.

ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი სადემომტაჟო-სამშენებლო სამუშაოები, თუ აღნიშნულ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება. მანძილი მიწისქვეშა გაზსადენის ღერძებიდან ასაშენებელ შენობა-ნაგებობის საძირკვლებამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 2 მეტრით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გენგეგმა.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:800
D = 100
D = 80
D = 70
D = 80
D = 100
D = 150
D = 80
D = 80
01.17.01.108.012
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.108.012
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0423/380/21
Дата: 23/04/2021

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"-ს
რექტორ ბ-ნ სერგო ტეფნაძეს

15.04.2021 #0415/836/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.72,01.108.012) არსებულ მიწის ნაკვეთზე და არ გადის სს "თელასის" ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

№ 06/21-0508046 D 21.04.2021

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“
ელ.ფოსტა: mail@ssu.edu.ge

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება (,,კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN№21-0506619, თარიღი: 15/04/2021წ.) ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ. N16-ში (ს/კ N01.17.01.108.012) არსებული დამხმარე ნაგებობის დემონტაჟის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.17.01.108.012 შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება. ხოლო ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება წყალსადენის D=100 მმ-იანი ქსელი.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელებიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენის ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის დემონტაჟს, საჭიროა მითითებული იქნას კონკრეტული ლოკაციები სადემონტაჟო სამუშაოებისა. ინფორმაციის სიზუსტისათვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის" წარმომადგენელს.

საკონტაქტო პირი - ისანი-სამგორის ბიზნეს ცენტრის მთავარი ინჟენერი ლევან ქურდიანი (ტელ: 591 05 15 25).

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (2102); jchachkhalia@gwp.ge

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

15.05.2019

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ტელ.: (+995 32) 2722222
ფაქსი: (+995 32) 237 82 24
მის.: ჟ. შარტავას ქ. №7
ქ. თბილისი, 0160, საქართველო

სათავო ოფისი
ოპერაციული განყოფილება

ავტორი : ნონა კალანდაძე
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1521)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : nona.kalandadze@procreditbank.ge

თარიღი : 15.05.2019

თემა: მინდობილობა უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

სს „პროკრედიტ ბანკის" დირექტორებმა: ალექსი მატუამ (პ/ნ 19001003556) და ქეთევან ხუსკივაძემ (პ/ნ 01019006029) შემდგომში „მინდობილობის გამცემი" პირები, მივანიჭეთ უფლებამოსილება ამავე ბანკის შემდეგ თანამშრომლებს:

I სვეტი:

II სვეტი:

გრიგოლ კაციტაძე პ/ნ 04001001988

თეონა ფოფხაძე პ/ნ 01019030018

1801161

წარმოადგინონ სს „პროკრედიტ ბანკი" სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. ამასთან, ნებისმიერი, მეორე სვეტში მოცემული პირი, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ, პირველი სვეტში მოცემულ პირთან ერთად ბანკის მიერ გაცემულ წერილებს და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.

აღნიშნული უფლებამოსილება ზემოჩამოთვლილ პიროვნებებს მინიჭებული აქვთ წინამდებარე მინდობილობაზე მითითებული თარიღიდან, მინდობილობის გადანდობის გარეშე. მინდობილობა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით, ბანკის მიერ არქიტექტურის სამსახურში მინდობილობის გაუქმების შესახებ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის წარდგენამდე.

პატივისცემით,

სს „პროკრედიტ ბანკი"

ალექსი მატუა	ქეთევან ხუსკივაძე	ნონა კალანდაძე
დირექტორი	*დირექტორი*	*იურისტი*